განკარგულება:**გ-49. 4924170001**
თარიღი:**18/06/2024**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N159 (გ-49.49233612) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482416580; 13/06/2024) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა 22 ერთეულს. ამასთან, 2024 წლის 12 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და რუმინეთის შრომის, განვითარებისა და ადმინისტრირების სამინისტროს შორის, ხელი მოეწერა 2021-2027 წლების შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ფარგლებში კონტრაქტს BSB00464 („სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Sm art4Rural”). პროექტის ფრაგლებში საჭირო საქმიანობის განსახორციელებლად მერიას სჭირდება 6 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის აყვანა : კოორდინატორი - 1; კოორდინატორის ასისტენტი - 1; ფინანსური მენეჯერი - 1; პიარ მენეჯერი -1; ტექნიკური მენეჯერი -1 და ტექნიკური მენეჯერის ასისტენტი-1, რასთან დაკავშირებითაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან ითხოვს გამონაკლისის შეთანხმებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N159 (გ-49.49233612) განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

   „1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 3 კომისიებში მოწვეული სპეციალისტისა და 1

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 ფსიქოლოგის, 3 კონსულტანტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტისა და 2 ტექნიკური მენეჯერის ერთი თვის ვადით მიღების შესახებ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და რუმინეთის შრომის, განვითარებისა და ადმინისტრირების სამინისტროს შორის ხელმოწერილი კონტრაქტის ფარგლებში 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტის 1 ფინანსური მენეჯერის, 1 პიარ მენეჯერის, 1 ტექნიკური მენეჯერის და 1 ტექნიკური მენეჯერის ასისტენტის 26 თვის ვადით მიღების შესახებ“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი